№ 204 სექტემბერი 21, კვირა 1886 სექტემბერი 21 კვირა № 204

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტფრიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

დღეს, 21 ენკენისთვეს

არწრუნისეულ თეატრში ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

როგორც ჰქუხს—ისე არა სწვიმს

კომედია 3 მოქმედებად გოლდონისა, თარგმნილი ივ. მაჩაბლისაგან.

II

ცელქები

ვოდევილი 1 მოქმედებად, გადმოღებული რუსულიდამ.

მოთამაშენნი: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა ჩერქეზიშვილისა, ლეონიძისა, მელიქიშვილისა; ბბ. აბაშიძე, ალექ. მესხიევი, გუნია, ნებიერიძე და სხ.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 20 სექტემბერი

ჩვენ გუშინწინდელს ნომერში ვსთქვით, რომ მოუთმენელად მოელიან ყველანი ვენგრიის მინისტრის ტისსას სიტყვას პასუხად იმისა, რაც მოჰკითხეს მთავრობას დეპუტატებმა ჰორვატმა და დანიელმა ირანიმ ბოლგარიის საქმეთა შესახებ. მიზეზი მოუთმენელობისა ის არის, რომ გარედამ თვალ მადევნებელი და მაყურებელი საზოგადოება დაჰქრალა იმ უვიცობამ, რაც თავ-და-პირველადვე თან დაჰყვა ბოლგარიის საქმეს. რა არის თვითონ ბუნებითად ბოლგარიის საქმე,—ეგ ყველამ იცის, ხოლო არავინ იცის ის ფარული მავთულები სხვა-და-სხვა სახელმწიფოებისა, რომელიც დღეს ბოლგარიის მიზეზით იდუმალად მოქმედებენ და ბოლგარიის საქმეს თავს ხან აქეთ უქცევენ, ხან იქით. ყველასათვის თვალ-საჩინოა, რომ ეგ ბოლგარიის საქმე იმოდენად თვითონ ბოლგარიაზედ დამოკიდებული არ არის, რამოდენადაც იმაზედ თუ,—რომელი სახელმწიფო რას ეძიებს ამ საქმეში და ვინ ვის მიმხრობია. აი ეს უკანასკნელი ვითარება საქმისა ბნელით არის გარემოცული და თუ რამ ვიცით ამ საგანზედ, მარტო ვარაუდით ვიცით, რადგანაც დაჭეშმარიტებით არაფერი არ არის გამოქვეყნებული.

ვენგრიის დეპუტატები ჰორვატი და ირანი ამ მხრით გამოეკიდნენ ბოლგარიის საქმეს და ჰკითხეს მინისტრს ტისსას იმის შესახებ თუ—როგორ არის განწყობილი ავსტრი-ვენგრია რუსეთთან და გერმანიასთანა და ერთმანეთში როგორ არიან მორიგებულნი ბოლგარიის საქმეთა მიმდინარეობის გამოვლო და ან თვითონ ავსტრი-ვენგრია რა პოლიტიკას ადგია. ტისსამ, რომელსაც გაზეთები სწამობენ, რომ ძალიან იამა ამისთანა კითხვაო, მაშინვე პასუხი ვერ მიუგო და ითხოვა პასუხისათვის პაემანი. პაემანი უნდოდა იმისთვის, რომ ვიდრე ყოველს კითხულს საგანზედ პასუხს მისცემდა, საჭირო იყო მოელაპარაკა გრაფ კალნოკითან, როგორც ავსტრი-ვენგრიის საგარეო საქმეთა საერთო მინისტრთანა, იმიტომ-რომ პასუხი შეეხებოდა მეტად რთულს და მძიმე საქმეს და ერთმანეთის დაუკითხავად ძნელი გასაბედი იყო. სჩანს მოლაპარაკება გაუთავებია, რომ დღევანდელმა დეპეშამ გვაცნობა—18-ს სექტემბერს ვენგრიის სეიმს ტისსამ პასუხი მისცა ჰორვატისა და ირანის საკითხავზედაო. ტისსას უთქვამს,—ავსტრიის პოლიტიკის საბუთად ბოლგარიის საქმეში მიღებულია ბერლინის ხელშეკრულობის ხელ-უხლებლად დაცვაო. ავსტრი-ვენგრიის მთავრობას ჰსურსო ბალკანიის სახელმწიფოებს შერჩეთო თავისი დამოკიდებლობა და ამიტომ არას გზით არ შეიწუნარებს, რომ რომელიმე ცალკე სახელმწიფო მარტოდ-მარტო ჩაერიოს ბალკანიის საქმეშიო და ან მარტოდ-მარტომ დაისაკუთროს მფარველობა ვისიმეო. ყოველივე საქმე, ეხლანდელ აშლილობის შესახები, ყველა იმ სახელმწიფოთაგან უნდა საერთოდ იყოს გადაწყვეტილი, რომელთაც ბერლინის ხელ-შეკრულობაზედ ხელი უწერიათო და თუ ოსმალეთი თვისსა უფლებას არ წამოაყენებს, არც ერთს სხვა სახელმწიფოს ნება არა აქვს იარაღით ხელში ჩაერიოსო, ან თავისი ცალკე მფარველობა დაადგინოსო ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ. ავსტრი-ვენგრიას და რუსეთსა არავითარი პირობა არ დაუდვიათ ერთმანეთში შესახებ იმისა, რომ განიზიარონ „სფერა ზედ-მოქმედებისა“ ან დასავლეთის, ან აღმოსავლეთის ნაწილზედ ბალკანიის ნახევარ-კუნძულისაზედაო. ტისსამ ისიც დაუმატა, რომ ავსტრი-ვენგრიის სამინისტროს წინადვე არა ჰქონია შეტყობილი რომ ალექსანდრე მთავარი გადაყენებულ იქმნება და ავსტრი ვენგრიას არაფერი აღთქმა არ დაუდვია იმაზე, თუ—რუსეთის კანდიდატის ბოლგარიის ტახტზედ ასვლას მხარს მისცემს და სარჩლს გაუწევსო.

თვითეული სიტყვა ამ პასუხისა დიდს შუქსა ჰფენს ავსტრი-ვენგრიის პოლიტიკას, რომელიც ამ სიტყვის წყალობით არავითარს ცალკე საგანს ბოლგარიის რთულ საქმისას საიდუმლოების კალთას აღარ აფარებს. ეხლა ყოველივე ცხადია, რა უნდა და საითკენ მიეზიდება ავსტრი-ვენგრია. ხოლო ეს კი გვაკვირვებს, რომ ტისსას ყველაფერზედ არ გაუცია პასუხი, მაგრამ ვინ იცის, იქნება გასცა კიდეც და ჯერ ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენ ვამბობთ იმის შესახებ თუ,—რატომ არა სთქვა რა გერმანიაზედ. ჰორვატსა და ირანსა სხვათა შორის ესეც ეკითხნა და საკვირველია,—რად გაჩუმდა ტისსა? მეტი არ მოგვივა ვსთქვათ, რომ ყველაზედ საინტერესო პასუხი კი ამ საგანზედ იყო. თუ მართლა ამაზედ არა უთქვამს-რა ტისსას, ყველა ამას იკითხავს: რად მოჰრიდებია ტისსა? ეს ხომ ყველამ ვიცით, რომ გერმანიასა და ავსტრი-ვენგრიას შორის კავშირია და თუ ტისსა ამ ამბავს გაუჩუმდა, ამას ორში ერთი მიზეზი უნდა დავდვათ. ან კავშირის პირობაში ბალკანიის ნახევარ-კუნძულის შესახებ ავსტრია მოტყუებულია ბისმარკისაგან და ჰრცხვენიან ამის გამომჟღავნება, ან კიდევ იმ პირობებში იმისთანა რამ არის, რომლის გამხილება და გამოქვეყნება უიმისოდ არ დარჩება, რომ ჩუმად და იდუმალად დაწყობილი საქმე არ წაუხდეთ და ხელი არ შეეშალოთ. ჩვენ ეს უკანასკნელი მიზეზი უფრო ჭკუასთან ახლოდ მიგვაჩნია, იმიტომ-რომ გერმანიისათვის ავსტრი-ვენგრიის მოტყუება ისე სასურველი არ არის, როგორც სხვისა. ეს ერთი, მეორეც ისა, რომ თუ ეს მიზეზი არ იყოს, ბისმარკი რად გაეცლებოდა თავის პარლამენტს და მოერიდებოდა პასუხის მიგებას ბოლგარიის საქმეთა თაობაზედ მაშინ, როდესაც გერმანიის პარლამენტის დეპუტატებმაც მოიწადინეს ისეთივე გამოკითხვა, როგორც ვენგრიის სეიმის დეპუტატებმა? თუ კავშირის პირობაში მოტყუებულ-იქმნა ავსტრი-ვენგრია, გერმანიისათვის რა დასამალავი იყო; პოლიტიკის ეხლანდელის წესით დიპლომატების თვალში მოტყუებაც კი სასახელოა. ესეც კი შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გერმანიას იქნება ავსტრი-ვენ-

---

ფელეტონი

ფშაური ლექსები

(ფშავლის დედა-კაცის ბაბალე მინდოდაურისაგან გაგონილი.)

I

შენ, ჩემო დიდო იმედო,
კოშკო ნაგებო კირათა,
კახეთს მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნალებო ინითა,
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შაყრილო ღილითა,
ცავ, წმინდა მარსკვლავიანო,
მზევ, დაფენილო დილითა,—
შენთანამც წოლით გამძღო
შვიდი დღე-ღამე ძილითა...

II

ვერცხლისამც თასად მაქცია,
რო ღვინით აგევსებოდი,
დაფერილი მქნა წითლადაც,
შამსვემდი—შაგერგებოდი;
ანა მქნა ვერცხლის სათითე [1],
რო ხელზედ ჩაგედებოდი;
ან შენის ნამგლის ყანა მქნა,
რო ფხაზედ [2] შაგეჭრებოდი;
ანა მქნა ვარდი—ყილი [3],
ცხვარ-პირზე დაგეურებოდი;
ან ვიყო მოვის პერანგი,
რო გულზე დაგედნებოდი;
ან შენი ნანდაური [4] მქნა,
გულს ჯვარად ჩაგეჭრებოდი;
ანამც მმა ვიყო მოწილე,
ცოცხალს არ გაგეყრებოდი.

საკვირაო სხარტულა

Caveant Consules!—მოუშორებელი სტუმარი.—ტფილისის ანტი-სანიტარული მდგომარეობა.—ვიქონიოთ ზამთრის იმედი, თუ არა?—რას გარჩევთ ჩვენ.—რა მოუვიდა ტფილისის გეოგრაფიის საზოგადოებას.—„ბრატუშკა“ და მისი ოინები.—ფაბიანის საქმის გარემოება.—ახირებული თავის გამართლება.—სასამართლოს გადაწყვეტილება.

— Caveant Consules! — ძველ რომაელების სიტყვებით მივმართავ მეც დღეს ჩვენის ქალაქის გამგეთ და მზრუნველებს.—Caveant Consules! მისთვის, რომ დღე განკითხვისა მგონი რომ მოდის... ის დიდი დემოკრატი, რომელიც არ აქცევს ყურადღებას სიმდიდრეს და სილარიბეს, უგვარტომობას და გვარის-შვილობას, პაიკობას და ბუმბერაზობას და ერთ ნაირის სიამოვნებით სთიბავს კაცობრიობის ორთავე სქესის წარმომადგენელთ,—კვლავ ამხედრდა ლაშქრად და მოესია ქვეყნიერობას... დიაღ, ყველასაგან თითქმის უკვე დავიწყებული ხოლერა, გაზეთების სიტყვით, თან-და-თან მატულობს ძალას და შესამოსევად განმზადებულ მტერსავით, ეტანება სხვა-და-სხვა ქვეყნების სამზღვრებს. ვენგრიის დაბა-ქალაქები ერთიანად დაფრთხობილია დღეს ამ საშინელის სენით, ხოლო ჩვენის სახელმწიფოის დასავლეთის მხარის მიდამო შეკრული და გარე-მოცულია კარანტინებით... ხოლერა, როგორც ისმის, უეცრად და მოულოდნელად გადმოსახლდა იტალიიდამ ბუდა-პესტში და, დაბინავდა რა ამ ქალაქში, საშიშარის სისწრაფით მოეფინა...

⁂

— იფხიზლეთ, დარაჯნო!.. სანამ დრო არის,—იფხიზლეთ და ეცადენით, რომ ასცილდეს ამ ქვეყანას ეს განსაცდელი. ერთხელ მაინც აღიჭურვეთ სათვალეებით და მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ, რომ იქნება შენიშნოთ ის, რაც დიდიხანია შენიშნულია და ნახული ყველასაგან... ტფილისის დაუჯერებელი ბინძურობა იმისთანა უეჭვო და თვალ-საჩინო რამეა, რომ უხოლეროთაც საშიშარია ქალაქში ყოფნა. აილეთ თუნდა ჩვენი აბანოები, ის აბანოები, რომელიც შეადგენს ჩვენს სიმდიდრეს და ჩვენს უბედურობას. რამდენი კაცი გამხდარა ავად, რამდენს მიუღია იქ სხვა-და-სხვა გვარი სნეულობა, რამდენი ადამიანი უმსხვერპლია იქაურს წეს-წყობილობას?.. და განა მარტო აბანოებია ტფილისში ჩვენის ჯანმრთელობის მომსპობელი და გამქარწყლებელი? რა არის ჩვენი ყასაბხანები, თუ არ ბუდე ყოველ-გვარ სნეულების მიზეზთა და მათი თავ-შესაფარი? რა უნდა ეწოდოს სახელად ამ თავ-ახდილს ქალაქის არხებს, რომლიდამაც მოდის და მოჰქშის ყოველ-გვარი ავ-სუნიანობა? რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ ძველის ქალაქის ტალახისაგან, შეითან-ბაზრის მწვირესაგან, მტკვრის-პირების უსუფთაობისაგან? ნუ თუ ყველა ეს მწედ და მაშველად არ გამოადგება მათ მოსიყვარულე და მონათესავე სტუმარს?..

⁂

ერთად-ერთი იმედი, რომელიც დაგვრჩენია ამ უიმედობის დროს,—ეს მომავალის ზამთრის იმედია. ზამთარს არ უყვარს ხოლერა და არც ხოლერას მოსწონს იგი, ამისათვის, შესაძლოა, რომ ამ ორთა მოსალოდნელთა სტუმართა ურთიერთ შორისმა მტრობამ ჩვენ სიკეთე გვიყოს და გადაგვარჩინოს უბედურობისაგან... მართალია, ჩვენ ბლომად გვყვანან ექიმები, რომელნიც ყოველთვის მზად იქნებიან მოგვაწოდონ ხელი, მაგრამ მე მაინც იმას ვამჯობინებ, რომ სულაც არ დაგვეჭირდეს მათი შემწეობა. მართალია ისიც, რომ «დროსა მას განსაცდელისასა» ქალაქის გამგეობაც და მისი სანიტარული კამისიებიც ერთს ამბავს შეჰქნიან და გამოიღებენ ხელს ჩვენდა დასაცველად, მაგრამ ჩვენ უფრო მოხარული ვიქნებით, რომ ეს ყოველისფერი ჩვენ სიცოცხლეში მოხდეს... დასასრულ, ისიც იქონიეთ, ბატონებო, სახეში, რომ, როგორც ჩვენ ნამდვილის წყაროებიდამ ვიცით, ხოლერა ცოტა ბრმა გახლავს და ვერაფრად არჩევს თურმე სხვისებს და თავისიანებს და, ამისთვის მოგახსენეთ „მერმედ და მერმედ“ ვიმეორებ: „Caveant Consules!..“

⁂

სიფრთხილე რომ კარგი რამეა, ეს—თუმცა გვიან კი,—მაგრამ დაბეჯითებით გაიგო დღეს აქაურმა „გეოგრაფიის საზოგადოებამაც“. ამ „საზოგადოებამ“ როდი იცოდა თურმე, რომ სიფრთხილეს თავი არა სტკივა და სულ იმის ფიქრში იყო, ვაი თუ მართლა ეტკინოს, რომ ყურადღება მივაქციოვო. ამ გვარის არა-შორს მჭვრეტელობის შედეგი მეტად მწარე და გულ საკლავი გამოდგა, რასაკვირველია. გამოჩნდა რაინდი, რომელმაც „საზოგადოების“ ნდომა და გულ-

---

[1] ბეჭედი. [2] პირზედ. [3] ყვავილი.

[4] საყვარელი.

გრიის წყენა არ უნდოდა და ამიტომაც მისი ყინულზედ გაცურება, ოთხ-კედელ-შუა მომხდარი, ოთხ-კედელ-შუავე დამალა.

ახალი ამბავი

⁂ როგორც შევიტყვეთ, ი. კერესელიძეს ნება-რთვა მიუღია, გამოსცეს სამეურნეო გაზეთი „ცისკარი“ კვირაში ორჯელ.

⁂ ტფილისში შემდგარა პატარა წრე ძველის მწერლობის მოყვარეთა, რომელსაც განუზრახავს ბეჭდვა ძველის სიტყვა-კაზმულის ნაწერებისა. ამ წრეს ფული საკმაოდ თურმე აქვს. პირველ ხანობაზე ჰფიქრობენ დაჰბეჭდონ თეიმურაზ მეფის ლექსებიო. შემდეგ შეუდგებიან უფრო ძველის ნაწერების ბეჭდვასაო, როგორც მაგალითად „რუსუდანიანია“, „როსტომიანი“ და მებრევე სხვა ნაწერებიო.

⁂ გაზ. „თეატრში“ ამ ჟამად იბეჭდება დამატებად შექსპირის შესანიშნავი ტრაგედია „ჰამლეტი, პრინცი დანიისა“, რომელიც პირ-და-პირ ინგლისურიდამ არის ნათარგმნი ბ-ნ ივ. მაჩაბლის-მიერ და კარგადაც არის ნათარგმნი. ივ. მაჩაბელს განუზრახავს გადათარგმნოს შექსპირის სხვა უმთავრესი ტრაგედიებიცაო და მერე შეუდგეს შილერისა და გეტეს ზოგიერთ თხზულებათა თარგმნას ნემეცურიდამაო.

⁂ ერთი ახალი სალიტერატურო ამბავიც: ამ დღეებში გათავდება ბეჭდვა ახალის სახელმძღვანელოსი რუსულის ენის შესასწავლელად სკოლებში. ეს სახელმძღვანელო შეუდგენია ბ-ნ მიხ. ნასიძეს.

⁂ 19 სექტემბერს მოსული დეპეშა გვაუწყებს, რომ ქაღალდის ფულის ფასს ძალიან დაუწევია. ხუთ მანათიანი ოქრო პეტერბურგის ბირჟაზე ჰღირს თურმე 8 მან. და 54 კაპეიკად, როდესაც რომ ამას წინად 8 მან. და 40 კაპ.—50-კზე მეტად არა ღირებულა.

⁂ ტფილისის საქალაქო საბჭომ სხდომათა დაწყების უმალვე ისახელა თავი. როგორც მკითხველმა იცის, ზაფხულში სხდომა არა ჰქონდა ხოლმე საბჭოს. პირველი სხდომა დანიშნული იყო ამ შემოდგომის დამდეგს, 15 სექტემბერს, მაგრამ, რადგან კანონიერი რიცხვი არ გამოცხადებულა, სხდომა გადაუდვიათ ხვალისთვის, ესე იგი 22 სექტემბრისათვის.

საბჭომ ამ ორშაბათს უნდა განიხილოს სხვათა შორის შემდეგი საგნები: წინადადება ტფილისის გუბერნატორისა მასზედ, რომ ქალაქმა მისცეს სატუსაღოთა კამიტეტს 1,515 მან. 3 კაპ., რომელიც მეტეხის ციხის ზედა-მხედველად ნამყოფმა გაფლანგა. მისივე წინადადება, რომ ქალაქმა პენსია დაუნიშნოს საგუბერნიო ექიმის თანამდებობის ამსრულებელს გლავაცკის. გამგეობის მოხსენება იმაზე,—თუ რა წესით უნდა დაესწრონ ხოლმე ქალების რწმუნებულნი საარჩევანო კრებაზე. მოხსენება მისივე საარჩევანო სიების შესწორებასა და დამტკიცების თაობაზედ. შემოსავალ-გასავალი ქალაქის ტფილისისა იანვრის 1-დგან სექტემბრის 1-ამდე 1886 წ.

⁂ გაზ. „კავკაზს“ გაუგონია, რომ ის გაცოფიანებული ძაღლი, რომელსაც დაუკბენია ბ-ნი სუზანჯიანცი, ერთის ტფილელის აფიცრისა ყოფილა და სუზანჯიანცის გარდა დაუკბენია თვით თავისი პატრონიც და მისი მოსამსახურე ჯარის-კაცი. აფიცრისა და მის მოსამსახურესათვის ოლქის შტაბს მიუცია ფული ოდესაში წასასვლელად და ცოფის ასაცრელად ექიმ გამელეისთანაო.

⁂ რაჭაში წელს ძალიან მცირე და ნაკლები მოსავალიაო. ამ სიკეთესთან სხვა სიკეთეც დაგვემართაო. მთელი წელიწადია თითქმის ქურდობა არა მომხდარა-რა და ახლა-კი კვლავ იჩინა თავიო. ამას წინად ქურდებმა დაიპარეს ცხენები და, ამბობენ, თერგის მაზრაში წაასხესო.

⁂ „კავკაზს“ გაუგონია, რომ იმ ათის ტუსაღიდამ, რომელნიც საეტაპო ყარაულს გაექცნენ ფასანაურიდამ, ექვსი უკვე შეუპყრიათ.

⁂ ერთი ტფილელი ვაჭარი ძალიან ბევრს ღია წერილებსა ჰგზავნის თურმე ყოველ დღე ქალაქის სხვა-და-სხვა უბანში. რამდენჯერმე შენიშნა, რომ გაგზავნილ წერილებზე პასუხი თავის დროზედ არ მოსდის. ხან ფოსტაში უჩივლია, ხან თვით წერილების დამტარებლისთვის უთქვამს, მაგრამ ვერას გამხდარა. ბოლოს შემდეგი ხერხი მოუგონია: დაუწერია ღია წერილი თავის სახელზედ, აღუნიშნავს გარკვევით წერილში, სადაცა სცხოვრებს და ჩაუგდია წერილების ყუთში. წერილი დაგვიანებულა. უკითხავს ფოსტაში და აღმოჩენილა, რომ წერილი ფოსტის გამგეობაში თავის დროზედ მიუტანიათ, წიგნებშიაც ჩაწერილია, წერილების დამტარებლისთვისაც გადაუციათ მაშინვე... და დღევანდლამდის კი მაინც პატრონს წერილი არ მოსვლიაო. (გაზ. „ნოვ. ობოზ.“)

ნაკვესი

ცხენის რკინის გზით მოდენილან მუშტაიდიდამ. ყველამ იცის, რომ ვაგონი გარანცოვის ძეგლამდე მოდის. რომ შეუბრუნებიათ ვაგონი ელისავეტის ქუჩაზედ, ერთს ხამს კაცს ჰკითხნა კონდუქტორისათვის:

— ეს სად მივდივართო?

— გარანცოვთანაო, უპასუხა კონდუქტორმა.

— კაცო, რას მემართლებით, რა დამიშავებია, შვიდი-შვიდის პატრონი ვარ, გარანცოვთან რა მინდაო!..

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ძნელია, როდესაც კაცს მთელი სიცოცხლე გაუვლია, ერთი ფეხი სამარეში გადუდგამს, თავის წარსულ ცხოვრებას თვალს ავლებს და ამ წარსულში სანუგეშოს ვერაფერს ჰხედავს. ყველა, რისთვისაც კი კაცს გული შესტკიოდა, რისთვისაც სწუხდა, იბრძოდა, ყოველს იმედს, რომელიც მას სულს უდგამდა, ძალას აძლევდა, ფუჭად ჩაუვლია, ნაყოფი არ ვამოუღია. ძნელია, როდესაც კაცი სამარის კარზე ამაში დარწმუნდება!

ასეთი ფიქრები მოსდის კაცს თავში, როდესაც კითხულობს შჩედრინის არაკსა: „კრამოლნიკოვის თავ-გარდასავალი“, რომელიც დღეს ფელეტონად არის დაბეჭდილი გაზ. „Русскія Вѣдомости“-ში.

> ერთ დილას ლიტერატორმა კრამოლნიკოვმა გამოიღვიძა,—ასე იწყებს შჩედრინი თავის სასო-წარკვეთილების აღსარებას, გამოიღვიძა და თავზე ხელი მოისო, მოისო და ცხადად დარწმუნდა, რომ ცოცხალი აღარ არის. გუშინ კაცი ცოცხალი იყო, დღეს გაჰქრა, ქვეყანაზე აღარ არის. არა, თუ გინდათ, ცოცხალი იყო, ამას კიდეც ჰგრძნობდა, მაგრამ თან ამასაც კი ცხადად ჰგრძნობდა, რომ თვალ წინ „რაღაცა დაეხურა, კარები მიეკეტა“... დაჰხედა უცბად კრამოლნიკოვმა თავის ნაწერს, რომელიც წინა დღეს დაეწყო, დაჰხედა, უნდოდა გაეთავებინა ნაწერი... მაგრამ ერთბაშად თავში ელვასავით რაღამაც გაუარა და გულ-მტკივნეულად წამოიძახა:
>
> „საჭირო არ არის! არა! არა!“

რა მოხდა? რა მოუვიდა კრამოლნიკოვსა? აი რა: კრამოლნიკოვს, როგორც ყოველ მტკიცე მორწმუნე კაცს, თავის „წმინდათა წმინდა“ ჰქონდა გულში ჩამარხული და «ადგილსა ამას წმიდასა» მაგრადა ჰქონდა დაცული მთელი თავის სიმდიდრე, საუნჯე სულისა.

> კრამოლნიკოვი არა ჰმალავდა კი ამ საუნჯეს, თავის კერძო საკუთრებად კი არა სთვლიდა, არა, პირ-იქით ძალიან უხვად და ხელ-გაშლილად ჰხარჯავდა ამ სიმდიდრეს. კრამოლნიკოვს სწამდა, რომ ამაშია კაცის დანიშნულება, ეს არის მთელის მისის ცხოვრების აზრი. კაცმა უნდა უხვად გასცეს მომადლებული ნიჭი, უხვად მოჰფინოს სხვებს ნათელი და სიკეთე, რომ სხვებმაც ამითვე გადაუხადონ. უამისოდ კაცობრიობა ერთს უზარ-მაზარ სასაფლაოს დაემსგავსებოდა. კაცობრიობა ცოცხალ საზოგადოებას კი აღარ წარმოადგენდა, მცხედართა გროვად გადიქცეოდა.
>
> დღეს კრამოლნიკოვისათვის ასეთი დრო დადგა, რომ თვითონ კრამოლნიკოვიც და ისინიც, ვინც კრამოლნიკოვს სულს უდგამდა, ძალას აძლევდა სამოქმედოდ, დღეს მკვდრად არიან გადაქცეულნი...

კრამოლნიკოვი ახირებული მწერალი იყო: მთელ თავისსიცოცხლეში მკითხველის მეტი არავინ სცოდნია, მკითხველი იყო მისი სიხარული, მისი ნუგეში, მკითხველს მისცა მთელი თავისი სული და გული...

და აი დღეს კრამოლნიკოვს მოესპო ეს ნუგეში, სიხარული: მკითხველი გაჰქრა...

⁂

ბ-ნ მეშჩერსკის ერთი მეგობარი არაფერ სასიამოვნო და საქებურ ამბავებს მოგვითხრობს გრაფ ტოლსტოის ყოფა-ცხოვრებაზე. „გრაფ ტოლსტოის არ შეჰფერის, რომ სოფელში თავის სახლი რაღაც სცენად გადუქცევია და თითონ განგებ კამედიასა თამაშობსო“,—გულის-წყრომით ამბობს მეშჩერსკის მეგობარი.

> ვთქვათ, ეუბნებიან გრაფს, რომ ხვალ ეს და ეს იქნება თქვენთან, თქვენი ნახვა

უბრყვილობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და სწორედ რომ ჩრჩილსავით გაუჯდა ერთად ერთს მის საუნჯეს—და იმ მდიდარს წიგნთ-საცავს, რომლის დასაარსებლად ამდენი ცდა და ხარჯი იყო გაწეული, ტყავი გააძრო. ეს სამწუხარო ამბავი დაწვრილებით გამომჟღავნდა ამ დღეებში აქაურ ოლქის სასამართლოში და რაღა თქმა უნდა, რომ მიიზიდა საყოველთაო ყურადღება.

⁂

ამ მცარცველობის თავი და თავი მიზეზი იმ გადამიელ „მეცნიერთა“ მოძმეა, რომელნიც ასობით მოიბარგებიან ყოველ-წლობით ჩვენს სახელმწიფოში,

На ловлю счастья и чиновъ,—

და რომელნიც „ბრატუშკებად“ არიან ცნობილნი. მათი ღვაწლი და ვინაობა უნდა მოეხსენებოდესთ მკითხველებს. «ბრატუშკები» გვანათლებენ ჩვენ, ბარბაროსებს, ლათინურის და ბერძნულის ენით, რომელნიც მათ, საზოგადოდ, რუსულ ენაზე უფრო ნაკლებ აქვთ შესწავლილი, ესე იგი იმ ენაზე უფრო ნაკლებ, რომელიც სულაც არ იციან. მიუხედველად მისა, ისინი ჰპოულობენ ჩვენში ყოველისფერს, რაც კი აკლდათ სამშობლოში: ფულს, საზრდოს, პენსიებს და ჯამაგირს... ბ-ნი ფაბიანი—„საზოგადოების“ წიგნთ-საცავის ჩრჩილი,—რასაკვირველია, ამავე აზრით იყო ჩამოსული ჩვენში, მაგრამ, მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა, ვერ გაეშალა ჯეროვანად ფრთები და, ცოტა არა იყოს, გაჭირებული იყო პირველ ხანებშიო. ვერ გამოუყენებია მას აქ უმიწა-წყლო ჩეხებთა (ფაბიანი—გვარტომობით ჩეხია) მაცხოვნებელი ძველი ენები, თუ სულ უკაცრავად იყო მათზე,—ეს მაღალმა ალლაჰმა უწყის!—ოღონდ, ვამბობ, ჯიბეზე კი მართლა რომ უკაცრავად ბრძანდებოდა თურმე...

⁂

ამ გაჭირებულს მდგომარეობაში მყოფმა ფაბიანმა მოახერხა ყოველივე, რაც კი მოეხერხებოდა ერთს კაცს. ჯერ გამართა პანსიონი ქუთაისში მოსწავლეთათვის, მერე, როცა პანსიონმა არ იხეირა, გადმოსახლდა ტფილისში და იშოვნა რაღაც საქმე აქაურ ფიზიკურ ობსერვატორიაში. როდესაც აქაც მოესპო იმედი, ობსერვატორიის დირექტორის—მილბერტის რეკომენდაციით,—მიჰმართა გეოგრაფიის საზოგადოების საქმეთა მმართველს, ბ-ნს ზაგურსკის, რომელმანც მიანდო მას ამ საზოგადოების წიგნთ-საცავის მოწყობა და კატალოგის შედგენა. ამ შრომისათვის, ბ-ნი ზაგურსკის წინადადებით, «საზოგადოების» კამიტეტმა განუწესა ბ-ნ ფაბიანს ორასი მანეთი ჯილდოდ. პირველ ხანებში, სანამ ბ-ნი ზაგურსკი ხშირად ინახულებდა ხოლმე წიგნთ-საცავს და ადევნებდა თვალ-ყურს ფაბიანის მოქმედებას, ეს უკანასკნელი მეტის მეტის მუყაითობით ეკიდებოდა საქმეს... მაგრამ გავიდა ცოტა ხანი, ბ-ნი ზაგურსკი გახდა ავად და წიგნთ-საცავის პატრონად დარჩა მარტო ფაბიანი... აი სწორედ ამ დროში იჩინა თავი განათლებულმა ჩეხმა და მართლა რომ არა-ევროპიულად მოექცა ევროპიულის განათლების განძს. ჯერ, რასაკვირველია, კატალოგის შედგენას დაანება სრულიად თავი და მიაბნ-მოაბნია აქა-იქ წიგნები. მერე მოჰყვა და დაიწყო ამ წიგნების ალებ-მიცემობა. ძვირფასი წიგნები, რომელთა შესაძენად „საზოგადოებამ“ ერთს დროს დიდი ფული დაჰხარჯა და დიდი მეცადინეობა გასწია, თითქმის მუქთად ჩაუვარდათ ხელში ვიღაც მეწვრილმანეებს და უცნობ ვაჭრებს... ფაბიანის ამ გვარმა უმართებულო ქცევამ გასტანა კარგა ხანს, მინამ ერთმა ნაცნობმა, ბ-მა პლეგანსკიმ, არ შეატყობინა ზაგურსკის, რომ „გეოგრაფიის საზოგადოების“ წიგნები იყიდება ბაზარშიო. ზაგურსკიც, რასაკვირველია, წავიდა იმ წამსვე ჯერ ვაჭრებთან, რომელთაგანც შეისყიდა რამოდენიმე დაკარგული წიგნი, შემდეგ ფაბიანთან, რომლის სადგომშიაც უპატრონოდ ეყარა თურმე იმავე „საზოგადოების“ წიგნები და გაზეთები, და ბოლოს შეატყობინა ყოველივე პოლიციას...

⁂

იმავე დღეს, საღამოზედ,—ვკითხულობთ ბრალ-მდებელ ოქმში,—პოლიციამ მიიყვანა ფაბიანი და მისი ცოლი ბ-ნ ზაგურსკისთან, რომელსაც ფაბიანის მეუღლემ მოსთხოვა ოც-და-თექვსმეტი მანათი დაგირავებულის წიგნების გამოსასყიდლად. მიიღო რა ეს ფულები, ფაბიანის ცოლმა დასტოვა თავისი ქმარი ზაგურსკისთან, წავიდა სადღაც და მოიტანა თექვსმეტი სხვა-და-სხვა წიგნი, რომელთ გამოსასყიდლად, მისის სიტყვით, გადიხადა სულ ოც-და-თექვსმეტი მანათი. როგორც აღმოჩნდა შემდეგ, ამ წიგნებში მას მიეცა ოთხი თუ ექვსი მანათი... მეორე დღესაც იგივე ფაბიანის ცოლი მივიდა წიგნთ-საცავში და ითხოვა თორმეტი მანათი დანარჩენის წიგნების გამოსასყიდლად. ეს თხოვნაც შეასრულეს, მაგრამ ფულები გადასცეს ბ-ნ პლეგანსკის, რომელიც უნდა წასულიყო ფაბიანის ცოლთან ერთად და მისისავე ჩვენებით უნდა გამოესყიდა დაკარგული წიგნები. პლეგანსკიმ იპოვნა მხოლოდ რამოდენიმე ერთად შეკრული გაზეთები, რომელნიც ფაბიანის ცოლს მიეყიდა ვერის მედუქნეებისათვის, ხოლო სხვა ვერაფერი ვერ აღმოაჩინა, მისთვის, რომ ქ-მა ფაბიანმა არ უჩვენა, ვისთვის მიეყიდა მის ქმარს საზოგადოების წიგნები.

— გადმომეცი ეგ ფული და დაბრუნდი სახლშიო, ეუბნეოდა თურმე იგი პლეგანსკის და მე თვითონ მოვიტან წიგნებსო, მაგრამ რადგან პლეგანსკი არ დასთანხმდა ამაზე, საქმეც არ მოეწყო. ბოლოს, ბევრის ცდის და ბევრის ძებნის შემდეგ აღმოაჩინეს მცირეოდენი ნაწილიც წიგნებისა, რომელიც სხვა-და-სხვა პირებს ჩავარდნოდათ ხელში ბუკინისტებისაგან. ამის გარდა პოლიციის პრისტავის თანაშემწემ, სვიმონოვმა მოაგროვა ტფილისის სხვა-და-სხვა საწვრილმანო დუქნებში ხუთი ტომარი „საზოგადოების“ წიგნების დაგლეჯილი ფურცლები, რომელიც ფაბიანს გაეყიდა, როგორც უბრალო სახვევი ქაღალდი, გირვანქობით. როგორც სჩანს „საზოგადოების“ წიგნთ-საცავის სიებიდამ, ფაბიანს გაუყიდნია სულ ოთხი ათასი მანათის წიგნები“...

⁂

ამ ნაირი ღვაწლი დასდო განათლებულმა ჩეხმა და მერე კიდევ ავსტრიის ქვეშევრდომმა ჩვენს სამეცნიერო „საზოგადოებას“. მე მგონი, ყოვლად უმეცარი ბარბაროსიც კი დაფიქრდებოდა ჯერ, სანამ ჩაიდენდა ამ გვარ დანაშაულობას. ფაბიანზე-კი თვით სამსჯავრომ და იქაურმა ვითარებამ ვერ იქონია გავლენა: ასე გასინჯეთ, დანაშაულადაც არ იცნო თავისი თავი:

— ჩემი რა ბრალიაო, სთქვა მან სხვათა შორის, რომ თქვენმა უმეცარმა ვაჭრებმა წიგნების ფურცლები სხვა-და-სხვა სანოვაგეს გამოსახვევ ქაღალდად იხმარონო!..

სწორედ რომ მართალი ნათქვამია: პირ-შავობას სირცხვილი არა აქვსო!..

სამართალმა, რასაკვირველია, დანაშაულად იცნო ფაბიანი და გადაუწყვიტა: ღირსება აეხადოს, რვა თთვე ციხეში დამწყვდეულ იქმნეს და შემდეგ ავსტრიაში გაიგზავნოსო.

ილია ხონელი

უნდაო. „მოვიდეს, დიდად მოხარული ვიქნებიო“,—ამბობს გრაფი. მეორე დღეს, სწორედ იმ დროს, როდესაც სტუმარს მოელიან, გრაფი ტოლსტოი მიდის რომელსამე გლეხის სახლში და ბუხრის ლესვას იწყებს... მოვიდა სტუმარი და კითხულობს:

— სად არის გრაფი?

— ბუხარსა ჰლესავს აქა-და-აქაო, ეუბნებიან.

სტუმარი პირ-და-პირ მიდის იქ, სადაც გრაფი მუშაობს. გრაფი გარგადა ჰხედავს, რომ ვიღაც მიდის იმასთან, მაგრამ ვითომც აქ არაფერიაო, ბუხრის ლესვას თავს არ ანებებს, მანამ არ ეტყვიან ესადა-ეს მოვიდაო.

— ოჰ, გაუმარჯოს! ცოტა მოითმინეთ, ეხლავე გავათავებ საქმეს.

მეშჩერსკის მეგობარს არ მოსწონს ასეთი საქციელი გრაფისა და საფუძვლიანად ამბობს:

> თუ გრაფი ყველა ამას წმინდა გულით სჩადის, მაშ რატომ ისე არ იქცევა, როგორც ყველა გლეხი მოიქცეოდა ამ შემთხვევაშიო. გლეხი ჯერ მიესალმებოდა, მიეგებებოდა თავის სტუმარს, მოიკითხავდა, სახლში მიიპატიჟებდა და მერე დაუბრუნდებოდა თავის საქმეს, თუნდ ბუხრის გლესას მიჰყვებოდა ისევ... გრაფი სულ სხვა ნაირად იქცევა, გრაფს თითქოს განგებ უნდა სტუმარი გააკვირვოს:—ჰხედავთ, გრაფი ტოლსტოი ვიღაცა საწყალის გლეხის ბუხარსა ჰლესავსო.

მართლა და რომ გრაფ ტოლსტოის საქციელი ოინბაზობასა ჰგავს!..

უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Temps“-ი ამბობს: ბოლგარიას ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს საფრანგეთის ზოგიერთ საბანკირო სახლებთან და უნდა, რომ ცარიბროდ-ვაკარელისა და სოფიის რკინის გზები დააგიროს და 18 მილლიონი ისესხოსო.

— ამ გაზ. „Köln. Zeit.“-ის სოფიელი კორრესპონდენტი რას ამბობს იმაზედ, თუ როგორ უჭირავთ თავი სოფიაში დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ. რუსეთის წარმომადგენელი და გერმანიისა ერთმანერთის თანხმობით მოქმედებენ. ამათივე მომხრეა საფრანგეთის საგენერალო კონსული ფლეშ. ფლეშს რუსეთისა და გერმანიის მხარე უჭირავს და იმათის სურვილის განხორციელებასა სცდილობს. იტალიის წარმომადგენელი კი ჩუმად არის და არაფერს საქმეში არ ერევა, თითქოს რაღასაც მოელისო. ინგლისი თავის პოლიტიკას არა ჰფარავს და ყველაფერში ბატტენბერგის მხარე უჭირავს, თუმცა ბატტენბერგის მომხრე ბოლგარებს კი ინგლისის იმედი არაფერში არა აქვთ. მარტო ავსტრი-ვენგრია დგას განაპირებით და აშკარად ეტყობა, რომ რუსეთისა, გერმანიისა და საფრანგეთის წარმომადგენლების წინააღმდეგ მოქმედებსო.

— „Standard“-ის სოფიელი კორრესპონდენტი სწერს ამ გაზეთს: სტამბულოვის სიტყვაზე საპასუხო ადრესის შედგენის დროს ცანკოვსა და იმის მომხრეებს კრებაზე ფეხი არ შემოუდგამთო. ცანკოვი ყველასა სძულთ აქა, რადგან ბოლგარიის მტერი ჰგონიათო. ამას წინედ, მაგალითებრ, სარჯენტო მთავრობამ ცანკოვი გაათრთხილა და მუქარით მისწერა: სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თუ აქამდინ ჯეროვანს ყურადღებას არ ვაქცევდით თქვენს მოქმედებას, არ გეგონოთ, რომ მერმისში დატუსაღებას ასცდეთო, თუ ბოლგარების „ეროვნულ გრძნობის შეურაცს-ყოფას“ მაინც-დამაინც არ დაიშლითო.

\~\~\~

საფრანგეთი. საფრანგეთში ძალიან მოწადინებულნი არიან, რომ დიდთა სახელმწიფოთ დაუახლოვდნენ და ყველაზედ მეტად გერმანიასთან უნდათ დაკავშირება ეგვიპტის საქმის გამოვ. საფრანგეთის გაზეთებში აგერ ერთიკვირაა სულ ეგვიპტის საქმეზე ბაასობენ. იბეჭდება „წერილები ბერლინიდამ“, რომელშიაც სწერენ, რომ გერმანიაში არავის, თვით ბისმარკსაც კი არ უნდა საფრანგეთთან რაიმე უსიამოვნობა და ბრძოლა ჰქონდეს, პირ-იქით ყველა იმას ამბობს, რომ საფრანგეთთან ზავი და კეთილ-განწყობილება უნდა ვიქონიოთო. თქმა არ უნდაო, ამბობს გაზ. „Liberté“ რომ გერმანია და საფრანგეთი თავის დღეში ვერ დაუახლოვდებიან ერთმანერთს, მაგრამ ამ ორთა სახელმწიფოთა გარეშე და საკოლონიო პოლიტიკაში-კი იმდენი საერთო საგანია, რომ ადვილად შესაძლებელია მათი დაახლოვებაო. ადვილად მოსაფიქრებელია, ამბობს გაზეთი, რომ სწორედ ეს განზრახვა ჰქონდა გულში საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, როცა გერბეტტი ბერლინში დანიშნა ელჩადაო.

\~\~\~

ოსმალეთი. სტამბოლიდამ სწერენ გაზ. ‹Presse›-ს: ოსმალეთში აქამდინ განსაკუთრებულს ყურადღებას არ აქცევდნენ იმ ხმას, რომ ვითომ ინგლისს განუზრახავს, კუნძული თასოსი დაიჭიროსო. ბევრმა ოსმალეთის მოხელეებმა რიგიანად არც-კი იცოდნენ, ვიდრე ეს ხმა არ გავრცელდებოდა: არსებობს სადმე ამ სახელის რომელიმე კუნძული, თუ არაო. ინგლისში ამბობენ, რომ ეგ ხმა ტყუილიაო. მაგრამ რა-კი ამ კუნძულს განაგებენ გუბერნატორები, რომელთაც ჯერ მამედ-ალის აქეთ ეგვიპტის ქედივები ჰნიშნავენ,—რა-კი ქხლანდელს ქედივს დიდ-ძალი მამულები აქვს ამ კუნძულზე და ბაჟი და სხვა გადასახადიც, რომელიც მკვიდრთ ერთმევა, სტამბოლში კი არ იგზავნება, არამედ ამ კუნძულის თვითმართველობას ჰხმარდება, ამიტომ ასე ჰგონიათ ინგლისელებს, ვითომ ნება აქვთ, რომ ხედივის სახელით თითონა ჰმართონ ამ კუნძულის საქმეებიო. თუ მოვიგონებთ, როგორ მიითვისა ინგლისმა კუნძული კვიპროსი, საკვირველი არ იქმნება, რომ ერთს მშვენიერს დღეს ინგლისელებმა კუნძული თასოსიც დაიჭირონო. როცა წინად ხმა გავრცელდა, რომ ოსმალეთი ინგლისს კვიპროსის კუნძულს უთმობსო, მაშინაც, როგორც ეხლა, ინგლისის მთავრობა უარსა ჰყოფდა ამ ხმასა და ყველას არწმუნებდა, რომ ტყუილი ხმა არისო. წინა დღეს, ვიდრე ოსმალეთი პირობაზედ ხელს მოუწერდა ინგლისს, რომ კუნძულს კვიპროს გითმობო და ვიდრე ეს ამბავი ოფიციალურად გამოცხადდებოდა, ინგლისის მაშინდელმა ელჩმა ლეიარდმა პატიოსანის სიტყვით დაარწმუნა საფრანგეთის ელჩი ფურნიე, რომ ინგლისს ფიქრადაც კი არ მოსდის კვიპროსის დაჭერაო. მეორე დღეს, როცა ხმა გამართლდა, და ფურნიემ წყენით ჰკითხა ლეიარდს: ტყუილი ვერაფერი საკადრისი საქციელიაო, რად მომატყუეო?—ლეიარდმა არხეინად უპასუხა, რომ ეგ საქციელი კერძო ცხოვრებაში შეიძლება გასაკიცხი იყოს და არც საკადრისი, მაგრამ პოლიტიკაში კი დიდი არაფერი ამბავიაო.

ბიბლიოგრაფია

ახლად ნაპოვნი ხელთ-ნაწერი ისტორიული პოემა.

ამ მოკლე ხანში შემთხვევით ჩამივარდა ხელში ძველი მხედრული ხელ-ნაწერი დალექსული წიგნაკი, რომელიც შეიცავს ფრიად შესანიშნავს ჩვენის ისტორიისთვის ისტორიულს პოემას, დაწერილს ვიღაც ფაღლენიანისაგან. ეს პოემა ჩვენმა მწერლობამ ჯერ არ იცის. პოემაში დაწვრილებით მოთხრობილია ამბავი ვახტანგ მეფის გარდასახლებისა რუსეთში 1724 წ. და მისი მუნ ცხოვრებისა. ისტორიული ცნობანი, რომელნიც პოემაში მოყვანილ არიან, შუქს ჰფენენ იმ დროის ისტორიულ ამბავთა. პოემა მით უფრო შესანიშნავია და ძვირფასი ჩვენის ისტორიის გამომკვლეველთათვის, რომ იგი ეკუთვნის კაცს, რომელიც თვით ერია და მონაწილეობას იღებდა მისგანვე აღწერილ საქმეებში. ამ მხრით მოხსენებული პოემა უფრო ძვირფასია, ვინემ დავით გურამიშვილის ცნობილი ისტორიული პოემა იმავე დროისა. უმეტესი ნაწილი გურამიშვილის პოემისა დამყარებულია ზეპირად გადმოცემულ ცნობებზე.

რომ ეს პოემა ეკუთვნის ვიღაც ფაღლენიანს, რომელიც ვახტანგ მეფეს თან გაჰყოლია რუსეთში, ესა სჩანს შემდეგის ადგილებიდგან პოემისა:

განაყოფი ჩემი ორი
სამსახურის მონდომებით
ფაღლენიანნი იახლნენ (მეფეს)
სამოსოთ, არ მოშორებით...
ჩემი გვადრო: ძველად მედვა
პატრონთ ხლება უშორებით,
მამა-პაპათ გვარტომობით
დაგდებული მე ანდერძად;
ემცნათ: შვილნო, ვინც იცოცხლოთ
ემსახურეთ პატრონთ ნებას,
ძმა კიყვენით ოთხი; უთხარ,
სიტყვა ეს გქნათ აღსრულებად.

ერთი უფროსი და ორი
ჩემგანვე უმრწემესია,
ის ვყოთ, რომელიც ჩვენისა
ჩამომავალთა წესია;
მე ვიახლები (მეფეს რუსეთში) თქვენ გული
ნუ შეგექნების კვნესია:
პატრონზე ერთგულობისა
რაღაა უკეთესია?

პოემა გაყოფილია შვიდ კარად და შეიცავს 274 ტაეპს, ანუ ოთხ-სტრიქონიან შაირს.

შემდეგ ვრცელის წინა-სიტყვაობისა იწყება პირველი კარი: „მეფეთ ცხოვრებას ისმენდით“. მოკლეთა სწერს შაჰნაოზ მეფეზე, მის შვილ არჩილზე გიორგი მეფეზე. შემდეგ უფრო ვრცლად მოიხსენებს გიორგის შვილებს და მათ შვილის-შვილებს. ვახტანგ VI შვილებში აქებს ბაქარს და ვახუშტიზე სხვათა შორის სწერს:

ვახუშტი ქრისტეს მოსავი,
მის მცნებაზედა დარგული,
მწყე მეცნიერი ცოდნისა,
ყველაში შესწევს ძალ-გული,
სულ ადასრულა ყოველი
სწავლა ლათინთა, ფრანგული.

შემდეგ აღწერს მოკლედ ვახტანგ მე VI-ის მეფობას, მის კავშირს რუსეთის იმპერატორთან პეტრე დიდთან, ქართველის მეფის დამარცხებას ერივანს ახლო და დიდ ხელმწიფების (სპარსეთის, ოსმალოს და რუსეთის) არევას და მტრობას. ვახტანგი რუსეთის იმპერატორს მიემხრობა. როდესაც ამ გარემოებამ, როგორც ვიცით, ბოლო მოუღო მეფეს, რუსთ ხელმწიფემ დამარცხებული ვახტანგი თავისთან დაიბარა რუსეთს.

„ემცნა, ჩაფარი ეფრინა
დიდსა რუსეთის მპყრობელსა...
უწინვე გამოგიგზავნე
ჩემთ ვეზირთ ბიძაშვილები,
მოგწერე, ნუ მიენდობი (თათრებს),
ურჯულოთ არ აქვს პირები.
წამოხვალ ჩემ კერძ,—არა გაქვს
გზის საქმე გასაჭირები:
მტრის სამზღვარზედა ჯარი მიდგს,
მაგრობენ, ვით ქვით-კირები“...

მეფე ამ დროს სოფელს ალევში ყოფილა. აქ დაუბარებია ტფილისიდამ თავისი ძმები და შვილები; შეყრილან და რჩევაში ყოფილან:

სამი ძმა და ორი შვილი
არჩევს საქმეს წყნარს, არ მალებს:
რა მავსწეროთ ხელმწიფესა,
ღვთის მოყვარეს, გულით სალებს.
შეკრეს, ხლება შეუთვალეს,
ხვაშიადი მწვე დამალეს.

რუსეთის ხელმწიფემ პასუხი მალე გამოუგზავნაო:

„მალე ჩამოდი ჩემ კერძო,
ნუ გაქვს ყოვნება ხანისა,
ნუ გაწუხებს სიბერე
კაცის თან წამოტანისა.“

ვახტანგს უნდოდა თან წაეყვანა რუსეთში ყველა თავისი ძმები; მაგრამ იესე არ დაჰყვა მის ნებას და თათრებთან დაიჭირა საქმე. ეს განხეთქილება ძმათა შორის გამოჩინებით არის აღწერილი პოემაში.

მეფეს წაჰყვნენ ორი მისი ძმა, შვილები და ახლო ნათესავები, აგრეთვე დიდ ძალი ამალა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურებისა: რამდენიმე კაცი არაგვის და ქსნის ერისთავთაგანი, შვიდი ორბელიანი და ოთხი ამილახვარი, აგრეთვე იმერთ მეფის ასული მონაზონი (მარიამი); ციციანთ გვარისაგან ხუთი კაცი, თერთმეტი ბარათიანნი (სამღვდელო და საერო), თერთმეტი კაცი თურქისტან—გაბაანთულაშვილები, ‹დიდ-მოურავთ შვილის-შვილი ჯავახიანთ ორი ძმა›, ხუთი შალიკაშვილები, ორი ძმა თაყველაშვილები, სამი სააკაძენი, ორი კომლი ზედგინიძეები, გოჩაშვილი და ჯომარჯიძეები ექვსი კაცი, ერთი გურიელის-ძე „ქართლსა მყოფი, აქ აღზრდილი.“ იმერელნი: მხეიძე, ჯაფარიძე და ჩიქოვანი, „შენაზარდი მეფეთ-ძისა.“ ზემო ქართლით გაჰყოლიან მეფეს: „დიდი მთავარი ფალავანდიძე და თაქთაქიძე, ერთი ამირეჯიბი, ორი მაჩაბელი, ორი ხერხეულიძე, ცხრა თუმანიანი, სამნი ფავლენიანნი, ორი მუსხელაშვილი, აბაზაძე, მურვანიძე, ნაზირი ოსეფა, ზურაბ რატიშვილი ძითურთ, ზაალ მეითარიშვილი მამითურთ, ერთი ქედხუდოვი, სადლუდ ბეგი, და „სხვანიცა ბევრნი“. კახეთიდგან მეფეს წაუყვანია თორმეტი დარბაისელი.

მეფეს გაჰყოლია აგრეთვე მრავალი სამღვდელოება, რომელთა შორის მოხსენებულნი არიან: „ძმა ქსნის ერისთავისა ბერი კარგი, ერთგული და მეფეთ ქოლა“ (რომანოზ სამთავნელზე იტყვის), მანგლელი არსენ, გვარით დოლენჯიაშვილი, მოძღვართ-მოძღვარი გერმანე, სულიერი მამა და ურბნელი (ნიკოლოზ?), გვარით გლურჯიძე, სააკაძე ‹ლირსი ბერი› (მისსიონერ ეროვნული [illegible] სიტყვის,) ტფილელი იოანე (მღივან ყოფილი გიორგი სახელ-წოდებით, გვარით ორბელიანი), კარის მღვდელი, წინამძღვარი დეკანოსით.“

„იესია და გიორგი,
სვიმონ მთქმელნი სულ იგოსით,
ონოფრეა საღმრთო კაცი
თავის რიგის შესამოსით,
სხვა მთავარი, შვილობა აქვს
ჩამომავლად კალატოზით...“
ქალი და კაცი ვიყავით
ათას ორასის სწორებით.

მეორე კარში ვრცლად არის აღწერილი მეფის მგზავრობა საქართველოდგან ასტრახნამდის.

მეფე წაბძანებულა რაჭის გზით; რაჭის ერისთავს სამასი კაცი წინ მიუგებებია და მთის იქით თვით დახვედრია და ონში მიული. აქ ბევრჯელ უთხოვნიათ მასპინძელთ, ქსნის და არაგვის ერისთავებთ, რომ დაბრუნებულიყო, ან ბაქარი მაინც დაეგდო საქართველოში, მაგრამ მეფეს არ უნებებია. აქედამ ხუთის დღის შემდეგ უწერაში ჩასულან და დიდ-გორისკენ გამგზავრებულან; ხამაგ მთასთან ღამე დამდგარან, დიდ-გორისკენ მძევლები გამოუყვანიათ, რომ არავის ევნო მეფისთვის, რომელსაც წინ მიუძღოდენ რამდენიმე ჩერქეზები. მეორე დღეს მთა გარდუვლიათ:

„შეგვიწუხდა, ვის რომ ჰყვანდა
რქით მწოვარი საკვანეთ.“

მთის იქით ჩერქეზებს მძევლები მოუთხოვნიათ მეფისთვის და ფული ხიდების და გზის გასწორებისთვის. საჩერქეზოში მეფე მიუყვანიათ ბადელიძეებთან, აქ კარგად დახვედრიან:

‹მათ განაყოფთ ყველამ ცალკე
ჩაიყვნეს ბატონები,
უმასპინძლეს, სასმლად მოაქვთ
ლუდ-ბურახი, ბალბოზები,
მიუბომეს ყველას ქალსა
და კაცს მრავლად ხაჩუქრები...

მთის იქით სცხოვრებდენ მეფის ნათესავი ჩერქეზთ ბატონისშვილები; დედოფალი დარეჯანი, მეუღლე ვახტანგისა, ჩერქეზის ქალი იყო. მათ გაუგიათ მეფის მისვლა საჩერქეზოში და მიჰგებებიან:

შეეტყოთ ჩერქეზთ ბატონებს,
მოვიდენ კაის წყობითა,
მათ წაგვიყვანეს თვისს სამყოფს,
აუჩქარებლად რობითა.
რა გარდვედით, მოეგება
დედოფალსა დედა თვისი,
თან იახლნენ რძალნი-ქალნი,
რაცა ჰყვანდა ყველა მისი...
მაგვიძღვნენ თვისსა ქალაქსა,
სად ჰქონდათ სახლი გებული,
მრავლად მოართვეს აზუდა,
ოტკა არაბას დებული...
მეფისთვის რომ განემზადათ,
არ ითქმის ქება სრისანი...

აქედგან ამილახვარის პირით იმპერატორს აცნობეს მეფის მობრძანება საჩერქეზოში. იმპერატორმა დიდ-ძალი ჯარი მიაგება მეფეს და კასპიის ზღვის-პირზე გამოიყვანეს მეფე და მისი ამალა. აქ ხომალდებზე დასხდნენ და ასტრახანისკენ გაემგზავრნენ. ზღვით სიარული მეტად გაგრძელდა, რადგან „ქარმან არა ქნა ქროლება... მუქაკნი სწეენ ზაოზსა, აქეთ ძალით ხომალდთ ყოლება...“ ამისთვის მგზავრნი ოც-და-შვიდს დღეს ზღვაში ისხდნენ, სანამ ასტრახანს მიაღწევდ-

ნენ და ბეერნი, განსაკუთრებით დედათა სქესი, ძალიან შეწუხებულან:

«ზღვის ჭავამ ქარვად უქცია
ქალთა პირისა ბროლები.»

—ეგრი—

გასართობი

ერთს ოსს ძროხის ქურდობას აბრალებდა თავის მეზობელი. ოსი დიდს უარზედ იდგა და ამბობდა, მე არ მომიპარავსო.

— ან დაიფიცე და ან ჩემი ძროხა მიზღეო, არ ეშვებოდა ძროხის პატრონი. ოსი დათანხმდა. მივიდნენ რამდენისამე მოწმით ეკკლესიაში და ოსი უნდა დაეფიცებინათ. ეკკლესიაში შევიდა თუ არა ოსი, პირ-დაპირ დასვენებული ღვთის-მშობლის ხატი დაინახა. ხან აქედ მოექცა ოსი ხატსა, ხან იქით, მაგრამ ღვთის-მშობელი სულ იმას შეჰყურებდა. საბრალო ოსმა შიშისაგან კანკალი დაიწყო და სასო-წარკვეთილებით დაიძახა:

— შე დალოცვილო, მარტო მე რას მიყურებ, ჩემთან სხვებიც იყვნენო.

* * *

ზემო იმერეთში ხშირად შეხვდებით ხეებს, რომელზედაც ვაზებია ასული. ამ გვარად ხეებზე ასულის ვაზების ვენახს „დობილოს“ ეძახიან.

გზა-ტკეცილს ახლო ერთს ამ გვარ „დობილოში“ შესულიყო ერთი უცხოელი და ყურძენსა სჭამდა თურმე. ამ დროს ამ ვენახის პატრონი სვირელი გლეხი მოსულა, უნახავს, რომ ვიღაცა ყურძენსა ჰკრეფავსო და დაუწყვია ჯავრობა:

— ეი, შენ, ვინ მოგცა მაგ ხეზე შესვლის ნება?

— Что? ჰკითხა დამტვრეულ რუსულის ენით უცხოელმა.

— ვინ ხარ, ბატონიშვილო? შტო კი არა, მთელი ხე ჩემია—შტოც ჩემია და ძირიც.

— ვინაგრად, ვინაგრად...

— რას ჰბოდავ ვიღაც ხარ? ვინ დარგა და ბაბუა-ჩემმა პეტრიამ! ან კი რა გაკითხებს, ვიღაცამ დარგა. ჩამოდი ძირს მალე.

— კუშიტ, კუშიტ...

— რეიო, ვინ იყო გუშინ... გუშინ თუ იყავ, არ გეყო თუ?.. ჩამო ძირს!

აქ აუვარდა თურმე სვირელი გლეხი და დაუწყო ჩხუბი...

* * *

ზაფხულში ერთი აგარად გასული ეკითხება მეორეს.

— შეიძლება ამ ხიდზე გავიარო, ხომ არ ჩატყდებაო?

— ნუ გეშინიან, არხეინად გაიარე, წელანაც გაატარეს ერთი სახედარი, მაგრამ არ ჩატყდაო, უპასუხა მეორემ.

* * *

ერთ ქალაქში სამი დერციკი მივიდა და სამივემ ერთს ქუჩაში დაიჭირეს დუქნები. ერთმა დერციკმა თავის დუქნის ფანჯარაზე დააწერინა:

— ყველაზედ კარგი დერციკი ამ ქალაქში მე ვარო.

მეორემ პირველის განცხადება რომ წაიკითხა, თავის დუქნის ფანჯარაზედაც დააწერინა:

— ყველაზედ კარგი დერციკი მთელს ქვეყანაზე მე ვარო.

მესამემ კი თავის ფანჯარას დააწერა:

— ყველაზედ კარგი დერციკი ამ ქუჩაზედ მე ვარო.

დეპეშა

19 სექტემბერს

პეტერბურგი. დღეს დილით მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ინებეს და დაბრუნდნენ პეტერგოფსა.

უმაღლესად იქმნა ნაბრძანები: 1888 წლის 1 ოქტომბრამდე იყოს კიდევ ძალაში 1882 წლის 1 ივლისსა და 1884 წ. 12 ივნისს დადგენილნი წესნი იმის თაობაზედ, შეიძლება თუ არა იმუშაონ 10 და 12 წლის მცირე-წლოვანთა ფაბრიკებსა და ქარხნებზედ, შეიძლება თუ არა 12 და 15 წლისანი მუშაობდნენ დამ-დამეობით და ექვემდებარებოდნენ თუ არა ზემოხსენებულ წესთა სახელოსნოებიცა და აგრეთვე იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა, რომ 12 და 15 წლის მცირე-წლოვანთა ზოგიერთს შემთხვევაში განუწყვეტლივ იმუშავონ ექვსის საათის განმავლობაში.

პეშტი. მინისტრმა-პრეზიდენტმა ტისსამ აუხსნა გუშინ სეიმს, რომ ბოლგარიის საქმეში ავსტრიის პოლიტიკას საფუძვლადა აქვს ბერლინის ხელ-შეკრულობაო. ავსტრი-ვენგრიის მთავრობასა სწყურს, რომ ბალკანიის სახელმწიფონი დამოუკიდებელნი იყვნენ. ამისათვის არ იყაბულებს არც იმასა, რომ რომელსამე ზემოხსენებულს სახელმწიფოს მფარველობას უწევდეს უცხო დიდი სახელმწიფო და არც იმასა, რომ რომელიმე დიდი სახელმწიფო მარტოდ-მარტო ჩაერიოს ბალკანიის საქმეებშიო. ყოველივე საგანი ბალკანიის ნახევარ კუნძულზე ამტყდარის აშლილობის შესახები, ჩემის აზრით, უნდა განხილულ და გადაწყვეტილ იქმნას საერთოდ ყველა იმ დიდთა სახელმწიფოთაგან, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ბერლინის ხელ-შეკრულობის შედგენაშიო. თუ ოსმალეთმა არა სთქვა-რა და თავისი უფლებანი არ წარმოადგინა, არც ერთს სხვა დიდს სახელმწიფოს ნება არა აქვს, რომ მარტო თვითონ შეთოფიარაღებული ჩაერიოს ამ საქმეში, ან მფარველობა მოინდომოს ბალკანიის ნახევარ კუნძულისა. რუსეთისა და ავსტრი-ვენგრიის შორის არავითარი მორიგება არ არსებობს იმის თაობაზედ, თუ სად უნდა უფლობდეს ან ერთი და ან მეორე ბალკანიის ნახევარ კუნძულზე, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ნაწილშიო. ტისსამ სთქვა კიდევ, რომ ავსტრი-ვენგრიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ წინდაწინვე არ იცოდა, თუ ალექსანდრე მთავარი ტახტის უარ-ყოფასა ჰფიქრობდა, და რომ ავსტრი-ვენგრიას არ უტვირთნია, რუსეთის კანდიდატს ბოლგარიის ტახტზე მხარს მივცემ და ხელს შევუწყობო.

სოფია. გადაწყვეტილ-იქმნა, ბარონ კაულბარსის სურვილისამებრ, გაუქმდეს შიშიანობის წესნი ბოლგარიაში. მთავრობა უარს არ არის რომ გადასდოს არჩევანები; საქმეს მხოლოდ ის აბრკოლებს, განთავისუფლებულ იქმნენ თუ არა არეულობის მოთავენიო.

20 სექტემბერს

პეტერბურგი. საბაჟო გადასახადთა დეპარტამენტს განკარგულება მოუხდენია, რომ სრულიად აღეკრძალოთ ავსტრიის სამზღვრებიდამ ძველის ტანისამოსისა და ყოველ-გვარის ძველ-ძვულების გადმოტანაო.

რადგანაც სარდინიაში ხოლერა გაჩნდა, ოდესის გენერალ-გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ კარანტინი დაწესდეს აგრეთვე ამ კუნძულის პორტებიდამ მომავალ გემებზედაო.

გლადივოსტოკს 14-დამ 18 სექტემბრამდე ხოლერით ავად გახდა 5, მოკვდა 4. ავად არის კიდევ 4 რუსი და 8 კორეიელი.

კოპენჰაგენი. გუშინ წაბძანდა აქედამ კოროლი საბერძნეთისა მეუღლითურთ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

სექტემბერი 30 დღით არის

21 დღე კვირა. წმ. მოც. კონდრატესი დაბადება მ. უმ. პავლე ალესანდრეს ძისა; სახელ-წოდება მ. უმ. დიმიტრი კონსტანტინეს-ძისა. კათოლ. წმ. მოციქ. მათესი სახარების დამწრისა. სომეხ. ალების ლამე გარაგ-ხაჩისა, ანუ წმ. გიორგის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა დღე 11—49—2. ტფილისში მზე ამოდის 5—58, ჩადის 5—39; მთვარე ამოდის 11—58, ჩადის 9—36.

22 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ფოკისა. წინ.-მეტყ. იონასი. კათოლ. წმ. თომა ვილლანოველისა ეპისკ. და ალმსარ. სომეხ. წმ. მამანტ. და სხვ. ჭეშმარიტი შუა დღე 11—48—43. ტფილისში მზე ამოდის 5—59 ჩადის 5—37; მთვარე ამოდის 12—51, ჩადის 10—26.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½ »
» » 2 »	2 »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ »
» » 2—	3 »
» » 3 »	2½ »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ »
მე-2 ხარისხისა . .	3½ »
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
« » 2	6 »
სუკი	13 »
ცხვრის ხორცი	6 »

განცხადებანი

ვექილი

ს. ვ. ჩემენსოვი

გადავიდა სოლოლაკზედ, ამაღლების ქუჩაზედ, ტერ-მოსესოვის სახლებში № 8.

(3—1)

იბეჭდება და სექტემბრის პირველს გამოვა

«ქართულის წერის დედანი»

გ. გაბაშვაძისა

(გამოცემა ი. მურადოვისა)

წერის დედანს შეადგენს: 1) მსხვილი გადაუბმელი ხელი ბადეში თავის ელემენტებით; 2) დაპატარავებული საშუალო მრგვალი ხელი უბადეოთ ოთხს ხაზში; 3) გადაბმული სწორედ (ალმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამ ხაზში და 4) გადახრული (наклонный) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში—ჯერ გადაუბმელად და შემდეგ სამს ხაზში გადაბმით.—დედანსა აქვს სულ 24 გვერდი. დედანის ფასი 30 კაპ. ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეგზემპლიარს იყიდის, ეგზ. 24 კაპ. დაეთმობა.

(2—2)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა

ილია ჭყონიას რედაქციით.

ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დასტული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-დასხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთაზხეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოვა 1887 წელს.

(20—12)

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე